

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი/BA of Social Sciences

დამატებითი სპეციალობა (მაინორი):

ან - საჯარო მმართველობა/Minor in Public Administration

ან - საერთაშორისო ურთიერთობები/Minor in International Relations

ან - ფსიქოლოგია/Minor in Psychology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 242 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამა ამზადებს სოციალური მეცნიერებების ბაკალავრს, აღჭურვილს იმ ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომელიც მას სოციალურ მეცნიერებათა სფეროში პროფესიული ფუნქციონირების/კარიერული წინსვლის და/ან მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას აძლევს.

პროგრამა, ორგანული კომპონენტის სახით, ასევე, ითვალისწინებს დამატებითი სპეციალობის (მაინორის) დაუფლებას - ან საჯარო მმართველობის, ან საერთაშორისო ურთიერთობების, ან ფსიქოლოგიის მიმართულებით.

კურიკულუმი, რომელიც აგებულია თავისუფალი მეცნიერებების სწავლების (Liberal Arts Education) პრინციპებზე, მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს:

- ✓ ზოგად-სავალდებულოს (38 ECTS),
- ✓ სოციალური მეცნიერებების სავალდებულო (120 ECTS) და არჩევითს (24 ECTS),
- ✓ დამატებითი სპეციალობის (მაინორის) სავალდებულო და არჩევითს (60 ECTS).

პროგრამის მიზნები:

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა სოციალურ მეცნიერებათა ძირითადი დარგების, ცნებების, თეორიების, მოდელების, კონცეფციებისა და ტენდენციების შესახებ;
- ფართო ცოდნა სულიერი, მხატვრული, ფილოსოფიური და სამეცნიერო მემკვიდრეობის (მსოფლიო ლიტერატურის გამორჩეული ნიმუშები, მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, საზოგადოების აზროვნების განვითარების ფილოსოფიური საფუძვლები და სხვა), ლიბერალური ღირებულებებისა და ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპების შესახებ.

დამატებითი სპეციალობის მიმართულებით:

- სტუდენტის არჩევანის შესაბამისად, მყარი თეორიული და, ასევე, პრაქტიკული ცოდნა ან საჯარო მმართველობის, ან საერთაშორისო ურთიერთობების, ან ფსიქოლოგიის დარგში.

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი;
- რაოდენობრივი და თვისებრივი მცირე-მასშტაბიანი ემპირიული კვლევის ჩატარების, მონაცემებისა და შედეგების შეფასების, გაანალიზებისა და წარდგენის უნარი; კრიტიკული და ლოგიკური მსჯელობის უნარი;
- კომუნიკაციის უნარი: ზეპირად და წერილობით რაციონალური, დასაბუთებული არგუმენტების წარმოჩენა, მათ შორის, საჯარო პრეზენტაციების მომზადება/წარდგენა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ეფექტურად მუშაობა როგორც გუნდურად, ისე - დამოუკიდებლად;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი. სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღწევის, აგრეთვე - ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;

დამატებითი სპეციალობის მიმართულებით:

- საჯარო მმართველობის, ან საერთაშორისო ურთიერთობების, ან ფსიქოლოგიის დარგში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარი და დამატებითი სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- საჯარო მმართველობის, ან საერთაშორისო ურთიერთობების, ან ფსიქოლოგიის სფეროში მცირე-მასშტაბიანი ემპირიული კვლევის მონაცემებისა და შედეგების შეფასების, გაანალიზებისა და წარდგენის უნარი;
- საჯარო მმართველობის, ან საერთაშორისო ურთიერთობების, ან ფსიქოლოგიის სფეროში რელევანტური პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული კომუნიკაციის უნარი;
- საჯარო მმართველობის, ან საერთაშორისო ურთიერთობების, ან ფსიქოლოგიის სფეროში ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი; ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების აღიარებისა და დაცვის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა ან ისტორია; უცხო ენად - ინგლისური.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სოციალური მეცნიერებების პროგრამის შედეგებისა და მიზნების რუკა

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ ექვს შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას:

შედეგი 1. სოციალურ მეცნიერებათა დარგების ფართო ცოდნა - იცნობს სოციალურ მეცნიერებათა ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს, განმარტავს სოციალურ მეცნიერებათა ცნებებსა და კონცეპტებს, კრიტიკულად იაზრებს ძირითად თეორიებს, მოდელებსა და კონცეფციებს;

შედეგი 2. ზოგადი განათლება - ფლობს ფართო ზოგად განათლებას ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიის, გეოგრაფიისა და სხვა სფეროებში; იცნობს მსოფლიო სულიერ და მხატვრულ მემკვიდრეობას, ძირითად ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და სხვა თეორიებს; ფლობს ცოდნას ლიბერალური ღირებულებებისა და ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპების შესახებ.

შედეგი 3. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პრაქტიკაში იყენებს სოციალურ მეცნიერებებში შეძენილ ცოდნას; წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად და ხელმძღვანელობის ქვეშ გეგმავს, ახორციელებს და წარადგენს დასკვნით სასწავლო პროექტს;

შედეგი 4. კვლევის უნარი - იცნობს და იყენებს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. შეუძლია მცირე-მასშტაბიანი ემპირიული კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება. ასევე შეუძლია საბაზისო დონეზე მონაცემთა ანალიზი;

შედეგი 5. ტრანსფერული უნარები - ეფექტურად ერთვება კომუნიკაციაში პროფესიული და არაპროფესიული სფეროს წარმომადგენლებთან, აქტიურად მონაწილეობს თემატიკასთან დაკავშირებულ ჯგუფურ აქტივობებსა და დისკუსიებში; როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, თანმიმდევრულად გადმოსცემს შესაბამის შინაარსს;

მიღებულ ცოდნას იყენებს განსხვავებულ კონტექსტში; აღიარებს „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ პრინციპის მნიშვნელობასა და პროფესიული განვითარების გაგრძელების აუცილებლობას.

შედეგი 6. ეთიკა - იზიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს; წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ ქცევას და იღებს მასზე პასუხისმგებლობას.

შედეგებისა და მიზნების რუკა 1:

შედეგები	მიზნები					
	ფართო თეორიული ცოდნის მიღება სოციალურ მეცნიერებში	ფართო ზოგადი განათლება	ცოდნის პრაქტიკულ საემიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი	კვლევის უნარი	კომუნიკაციის, ცოდნის განახლების და სხვა უნარები	ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტები
შედეგი 1 ფართო ცოდნა	+				+	+
შედეგი 2 ზოგადი განათლება	+	+			+	+
შედეგი 3 პრაქტიკა			+		+	+
შედეგი 4 კვლევა			+	+	+	+
შედეგი 5 ტრანსფერული უნარები				+	+	
შედეგი 6 ეთიკა	+	+	+	+		+

დამატებითი სპეციალობის (მაინორის) პროგრამის შედეგებისა და მიზნების რუკა

დამატებითი სპეციალობის - საჯარო მმართველობის - პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ ექვს შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას:

შედეგი 1. საჯარო მმართველობის დარგის მყარი ცოდნა - იცნობს ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს, საჯარო მმართველობის, მენეჯმენტის, საჯარო პოლიტიკის ანალიზის მიმართულებით. განმარტავს ცნებებს, აღწერს ძირითად თეორიებს, მოდელებსა და კონცეფციებს; აცნობიერებს საჯარო მმართველობის დარგის სპეციალისტის როლს საზოგადოებაში.

შედეგი 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პრაქტიკაში იყენებს შეძენილ ცოდნას საჯარო მმართველობის დარგში საზოგადოებრივი პრობლემების გადასაწყვეტად.

შედეგი 3. კვლევის უნარი - იცნობს კვლევის მეთოდოლოგიას და შეუძლია მცირე-მასშტაბიანი კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა, განხორციელება და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა.

შედეგი 4. ანალიზის უნარი - აანალიზებს მონაცემებს საბაზისო დონეზე საჯარო მმართველობის დარგში - სხვადასხვა პერსპექტივიდან, შესაბამისი მეთოდების, თეორიების, მტკიცებულებებისა და მიდგომების გათვალისწინებით.

შედეგი 5. ტრანსფერული უნარები - ეფექტურად ერთვება კომუნიკაციაში პროფესიული სფეროს წარმომადგენლებთან - როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. მიღებულ ცოდნას იყენებს განსხვავებულ კონტექსტში. კონსტრუქციულად და კრიტიკულად აანალიზებს საკუთარი სწავლის შედეგებს,

შედეგი 6. ეთიკა - იზიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

დამატებითი სპეციალობის - საერთაშორისო ურთიერთობების - პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ ექვს შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას:

შედეგი 1. საერთაშორისო ურთიერთობების დარგის მყარი ცოდნა - იცნობს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად მიმართულებებს, აქტორებსა და ტენდენციებს, განმარტავს ცნებებს, აღწერს ძირითად თეორიებს, მოდელებსა და კონცეფციებს; აცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის სპეციალისტის როლს საზოგადოებაში.

შედეგი 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პრაქტიკაში იყენებს შეძენილ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების დარგში საზოგადოებრივი პრობლემების გადასაწყვეტად.

შედეგი 3. კვლევის უნარი - იცნობს კვლევის მეთოდოლოგიასა და შეუძლია მცირე-მასშტაბიანი კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა, განხორციელება და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა.

შედეგი 4. ანალიზის უნარი - ანალიზებს მონაცემებს საბაზისო დონეზე საერთაშორისო ურთიერთობების დარგში პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით - სხვადასხვა პერსპექტივიდან, შესაბამისი მეთოდების, თეორიების, მტკიცებულებებისა და მიდგომების გათვალისწინებით.

შედეგი 5. ტრანსფერული უნარები - ეფექტურად ერთვება კომუნიკაციაში პროფესიული სფეროს წარმომადგენლებთან - როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. მიღებულ ცოდნას იყენებს განსხვავებულ კონტექსტში. კონსტრუქციულად და კრიტიკულად ანალიზებს სწავლის შედეგებს.

შედეგი 6. ეთიკა - იზიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

დამატებითი სპეციალობის - **ფსიქოლოგიის** - პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ ექვს შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას:

შედეგი 1. ფსიქოლოგიის დარგის მყარი ცოდნა - იცნობს ფსიქოლოგიის ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს, განმარტავს ცნებებს, აღწერს ძირითად თეორიებს, მოდელებსა და კონცეფციებს; აცნობიერებს ფსიქოლოგის როლს საზოგადოებაში.

შედეგი 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პრაქტიკაში იყენებს შეძენილ ცოდნას ფსიქოლოგიის დარგში საზოგადოებრივი პრობლემების გადასაწყვეტად ეთიკური, კონცეპტუალური, კულტურული და ისტორიული ასპექტების გათვალისწინებით;

შედეგი 3. კვლევის უნარი - იცნობს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს ფსიქოლოგიის დარგში. შეუძლია მცირე-მასშტაბიანი კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება;

შედეგი 4. ანალიზის უნარი - ანალიზებს მონაცემებს საბაზისო დონეზე ფსიქოლოგიის დარგში - სხვადასხვა პერსპექტივიდან, სხვადასხვა მეთოდების, თეორიების, მტკიცებულებებისა და მიდგომების გათვალისწინებით;

შედეგი 5. ტრანსფერული უნარები - ეფექტურად ერთვება კომუნიკაციაში პროფესიული სფეროს წარმომადგენლებთან - როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. მიღებულ ცოდნას იყენებს განსხვავებულ კონტექსტში. კონსტრუქციულად და კრიტიკულად ანალიზებს საკუთარ სწავლის შედეგებს.

შედეგი 6. ეთიკა - იზიარებს და იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

შედგებისა და მიზნების რუკა 2:

შედგები	მიზნები						
	მყარი თეორიული ცოდნა და მათებით სპეციალობაში	ცოდნის პრაქტიკულ საჭიროებაში ეფექტურად გამოყენების უნარი	კვლევის უნარი	ანალიზის უნარი	კომუნიკაციის უნარი	ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების და პროფესიული ეთიკის სტანდარტები	
	შედეგი 1 მყარი ცოდნა	+				+	+
	შედეგი 2 პრაქტიკა		+	+	+	+	+
	შედეგი 3 კვლევა		+	+	+	+	+
	შედეგი 4 ანალიზი		+	+	+	+	+
	შედეგი 5 ტრანსფერული უნარები				+	+	
შედეგი 6 ეთიკა	+	+	+	+		+	

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სხვა

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე, რაც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სოციალურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილი გამოცდა, ზეპირი/წერილი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო კურსის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის ფინალურ გამოცდაზე დასაშვებად, საჭიროა შუალედური შეფასებების ჯამის (ყველა სახის შეფასება გარდა ფინალური გამოცდისა) 30%, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 40%.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

- A = 4
- B = 3, 2
- C = 2, 4
- D = 1, 6
- E = 0, 8

დასაქმების სფერო:

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურებში, სადაც არის მოთხოვნა შესაბამისი კვალიფიკაციის კურსდამთავრებულზე. პროგრამა იძლევა საფუძვლიან თეორიულ ცოდნას, ისევე როგორც პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყოთ წარმატებული კარიერა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

სოციალური მეცნიერებების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტი-ფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

მანანა გაბაშვილი

პროფესორი

გორგასლის ქ. #101

თბილისი, 0114, საქართველო

ტელ: (995 32) 908767

e-Mail: m.gabashvili@gipa.ge

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

საგნის კოდი	პრერეკვიზიტი	საგანი / მოდული	ECTS კრედიტი/საათი								საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
სპეციალობის სავალდებულო საგნები			24	27	28	28	6	6	6	18		
Ssindiv016	არ გააჩნია	ინდივიდი და საზოგადოება მსოფლიო ლიტერატურაში	6/150								32	118
SSistsazmec017	არ გააჩნია	ისტორია, როგორც საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერება	6/150								32	118
SSakw001	არ გააჩნია	აკადემიური წერა	4/100								32	68
SSkompun 014	არ გააჩნია	კომპიუტერული უნარები	4/100								32	68
SSkal002	არ გააჩნია	პრეკალკულუსი	4/100								32	68
SSshsocm113	არ გააჩნია	შესავალი სოციალურ მეცნიერებებში		6/150							32	118
SSgeog108	არ გააჩნია	შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში		6/150							32	118
SSsamok109	არ გააჩნია	სამოქალაქო განათლება		5/125							32	93
SSpre011	არ გააჩნია	კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარები		5/125							32	93
SSlogkr015	არ გააჩნია	ლოგიკური უნარ-ჩვევები		5/125							32	93
SStvkvlev114	არ გააჩნია	თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში			6/150						32	118
SSsoc007	არ გააჩნია	შესავალი სოციოლოგიაში			6/150						32	118
SSfsik005	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის საფუძვლები			5/125						32	93
SSantrop116	არ გააჩნია	ანთროპოლოგიის შესავალი			5/125						32	93
SSazrpilos023	არ გააჩნია	საზოგადოების აზროვნების ფილოსოფიური საფუძვლები			6/150						32	118
SSrkvst117	SSkal002 SS tvkvlev114	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში				6/150					32	118
SSeko008	SSkal002	შესავალი ეკონომიკაში				6/150					32	118
SSpol 010	არ გააჩნია	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში				5/125					32	93
SSshps 708	არ გააჩნია	შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში				5/125					32	93
SSsam009	არ გააჩნია	სამართლის საფუძვლები				6/150					32	118
SSmedz418	არ გააჩნია	მედია და ძალაუფლება					6/150				32	118
SSkulturt 711	არ გააჩნია	კულტურათაშორისი ურთიერთობები						6/150			32	118

SSmgs618	SSsoc007	მიგრაცია და გლობალური საზოგადოება						6/150		32	118
SSstantend019	SSshsocm113	თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში							5/125	32	93
SSskvlsocm020	SStkvlev114 SSrkvst117	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გაძლიერებული კურსი							5/125	32	93
SSdproeq 801	SStkvlev114 SSrkvst117	დასკვნითი სასწავლო პროექტი							8/200	32	168
ინგლისური ენის კომპონენტი			5	5	5						
SSeng100	არ გააჩნია	ინგლისური ენა 1 ან,	5/125							48	77
SSeng101	SSeng100	ინგლისური ენა 2 ან,									
SSeng102	SSeng101	ინგლისური ენა 3									
SSeng101	SSeng100	ინგლისური ენა 2 ან,		5/125						48	77
SSeng102	SSeng101	ინგლისური ენა 3 ან,									
SSeng115	SSeng102	ინგლისური ენა 4									
SSeng102	SSeng101	ინგლისური ენა 3 ან,			5/125					48	77
SSeng115	SSeng102	ინგლისური ენა 4 ან,									
SSeng116	SSeng115	ინგლისური ენა 5									
არჩევითი სასწავლო კურსები					6	6					
SSpolmit 714	არ გააჩნია	პოლიტიკა და მითოლოგია				6/150				32	118
SSaciv704	არ გააჩნია	აღმოსავლური ცივილიზაციების ისტორია				6/150				32	118
SSdciv703	არ გააჩნია	დასავლური ცივილიზაციების ისტორია				6/150				32	118
SSkomrekl718	არ გააჩნია	სტრატეგიული კომუნიკაცია და სარეკლამო ტექნოლოგია				6/150				32	118
SSqgegma717	არ გააჩნია	ქალაქგეგმარების სოციალური ასპექტი				6/150				32	118
საჯარო მმართველობის მაინორი											
საჯარო მმართველობის მაინორის ძირითადი საგნები							15	15	15		
SSmmpr232	SSsam009	საჯარო მმართველობის პრინციპები და საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა					5/125			32	93
SSprofet228	SSsam009	ადმინისტრაციული და სამოხელეო სამართალი					5/125			32	93
SSmeng203	არ გააჩნია	მენეჯმენტის საფუძვლები					5/125			32	93
SSlidet211	SSeng102	ლიდერობა და ეთიკა საჯარო სექტორში						5/125		32	93
SSsajekbiuj229	SSeko008	საჯარო სექტორის ეკონომიკა და ბიუჯეტირება						5/125		32	93

SSprm201	SSmeng203	პროექტის მართვა						5/125			32	93
SSpolaninst 230	SSmmp232 SSakw001 SS tkvlev114 SSrkvst117	საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები							5/125		32	93
SSshmmar217	SSmmp232 SSsam009	შედარებითი საჯარო მმართველობა							5/125		32	93
SShr214	არ გააჩნია	ადამიანური რესურსების მართვა							5/125		32	93
საჯარო მმართველობის მაინორის არჩევითი საგნები								5	5	5		
SSarsmenj222	არ გააჩნია	არასამთავრობო ორგანიზაციების მენეჯმენტი და სამოქალაქო მონაწილეობა						5/125			32	93
SSsmadgm223	SSsam009	საჯარო მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა						5/125			32	93
SSpr224	არ გააჩნია	საზოგადოებასთან ურთიერთობების საფუძვლები						5/125			32	93
SSsorg 317	არ გააჩნია	საერთაშორისო ორგანიზაციები						5/125			32	93
SSsagtavp217	არ გააჩნია	საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა						5/125			32	93
SSsagp 318	არ გააჩნია	საქართველოს საგარეო პოლიტიკა						5/125			32	93
SSganvpek226	SSeko008	საერთაშორისო განვითარება							5/125		32	93
SSfondfin 543	SSsajekbiuj229	ფონდების მოძიება და ფინანსების მართვა							5/125		32	93
SSbihek	SSeko008	ბიჰევიორისტული ეკონომიკა							5/125		32	93
ზოგადი არჩევითი საგნები								6	6	6		
SSglobal 715	არ გააჩნია	გლობალიზაცია						6/150		6/150	32	118
SSkultsoc716	არ გააჩნია	კულტურის სოციოლოგია						6/150		6/150	32	118
SSrito701	არ გააჩნია	რიტორიკა და კამათის ხელოვნება						6/150		6/150	32	118
SSpolart216	არ გააჩნია	პოლიტიკა და ხელოვნება						6/150		6/150	32	118
SSforumt115	არ გააჩნია	პრობლემების გადაწყვეტა: ფორუმ- თეატრი						6/150		6/150	32	118
SSmikeko021	SSeko008	მიკროეკონომიკა						6/150			32	118
SSkomrekl718	არ გააჩნია	სტრატეგიული კომუნიკაცია და სარეკლამო ტექნოლოგია						6/150			32	118
Ssadamupl018	SSsam009	ადამიანის უფლებები თეორიასა და პრაქტიკაში						6/150			32	118
SSqgegma717	არ გააჩნია	ქალაქგეგმარების სოციალური ასპექტი						6/150			32	118
SSpolmit 714	არ გააჩნია	პოლიტიკა და მითოლოგია						6/150			32	118

SSaciv704	არ გააჩნია	აღმოსავლური ცივილიზაციების ისტორია					6/150			32	118
SSmakeko022	SSeko008	მაცროეკონომიკა					6/150			32	118
საერთაშორისო ურთიერთობების მაინორი											
საერთაშორისო ურთიერთობების მაინორის ძირითადი საგნები							15	15	15		
SSfmsp316	არ გააჩნია	მსოფლიო პოლიტიკა					5/125			32	93
SSsakgeo 307	SSgeog108	საქართველოს სამეზობლოს გეოპოლიტიკა					5/125			32	93
SSshpol311	SSpol 010	შესავალი შედარებით პოლიტიკაში					5/125			32	93
SSsut320	SSfmsp316	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში					5/125			32	93
SSeup319	არ გააჩნია	ევროკავშირის პოლიტიკა					5/125			32	93
SSsam314	SSsam009	შესავალი საერთაშორისო სამართალში					5/125			32	93
SSerus311	SSistsazmec017	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა						5/125		32	93
SSusp303	SSistsazmec017	ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა						5/125		32	93
SSsorg 317	არ გააჩნია	საერთაშორისო ორგანიზაციები						5/125		32	93
საერთაშორისო ურთიერთობების მაინორის არჩევითი საგნები							5	5	5		
SSkonf301	SSpol 010	შესავალი კონფლიქტოლოგიაში					5/125			32	93
SSspan312	SSeko008	პოლიტიკის ანალიზი					5/125			32	93
SSsaqsakhm233	არ გააჩნია	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა					5/125			32	93
SSqarpolist 234	არ გააჩნია	ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და მმართველობის ისტორია					5/125			32	93
SSsagp 318	არ გააჩნია	საქართველოს საგარეო პოლიტიკა					5/125			32	93
SSsajec511	SSsajekbiuj229	საჯარო სექტორის ეკონომიკა და ბიუჯეტირება					5/125				
SSsgan313	SSeko008	საერთაშორისო განვითარება						5/125		32	93
SSpolid321	SSpol 010	პოლიტიკური იდეოლოგიები						5/125		32	93
SSpolp 616	SSfsik005	პოლიტიკური ფსიქოლოგია						5/125		32	93
ზოგადი არჩევითი საგნები							6	6	6		
SSglobal 715	არ გააჩნია	გლობალიზაცია					6/150		6/150	32	118
SSkultsoc716	არ გააჩნია	კულტურის სოციოლოგია					6/150		6/150	32	118
SSrito701	არ გააჩნია	რიტორიკა და კამათის ხელოვნება					6/150		6/150	32	118
SSpolart216	არ გააჩნია	პოლიტიკა და ხელოვნება					6/150		6/150	32	118

SSforumt115	არ გააჩნია	პრობლემების გადაწყვეტა: ფორუმ-თეატრი					6/150		6/150		32	118
SSsvach 529	SSeko008	საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები 1					6/150				32	118
SSkomrekl718	არ გააჩნია	სტრატეგიული კომუნიკაცია და სარეკლამო ტექნოლოგია						6/150			32	118
Ssadamupl018	SSsam009	ადამიანის უფლებები თეორიასა და პრაქტიკაში						6/150			32	118
SSqgegma717	არ გააჩნია	ქალაქგეგმარების სოციალური ასპექტი						6/150			32	118
SSpolmit 714	არ გააჩნია	პოლიტიკა და მითოლოგია						6/150			32	118
SSaciv704	არ გააჩნია	აღმოსავლური ცივილიზაციების ისტორია						6/150			32	118
SSsvach 532	SSsvach 529	საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები 2						6/150			32	118
ფსიქოლოგიის მაინორი												
ფსიქოლოგიის მაინორის ძირითადი საგნები												
							15	15	15			
SScogp603	არ გააჩნია	კოგნიტური ფსიქოლოგია					5/125				32	93
SSrmpsy509	არ გააჩნია	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1					5/125				32	93
SSsocpsy510	SSshps 708	სოციალური ფსიქოლოგია 1					5/125				32	93
SSganc608	SSfsik005 SScogp603	განწყობის ფსიქოლოგია (დ. უზნადის განწყობის თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიის კონტექსტში)						5/125			32	93
SSrmpsy510	SSbp513	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2						5/125			32	93
SSsocpsy511	SSsocpsy510	სოციალური ფსიქოლოგია 2						5/125			32	93
SSjups526	SScogp603 SSganc608	დევიაციური და იურიდიული ფსიქოლოგია							5/125		32	93
SSpsdg 619	SSfsik005 SSrmpsy510	ფსიქოდიანგნოსტიკა							5/125		32	93
SSpolps527	SSfsik005	პოლიტიკური ფსიქოლოგია							5/125		32	93
							5	5	5			
ფსიქოლოგიის მაინორის არჩევითი საგნები												
SShpsy506	SSfsik005	ფსიქოლოგიის ისტორია					5/125				32	93
SSmpsiq622	SSeng102	მართვის ფსიქოლოგია					5/125				32	93
SSbp513	SSfsik005	პიროვნების ფსიქოლოგია 1					5/125				32	93
SStanmim	SShpsy506	ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები						5/125			32	93
SSsaorg 617	SSmpsiq622	ორგანიზაციული ქცევა						5/125			32	93
SSbp514	SSbp513	პიროვნების ფსიქოლოგია 2						5/125			32	93

SSbihek	SSeko008	ბიჰევიორისტული ეკონომიკა						5/125		32	93
SScouns524	SSfsik005	ფსიქოლოგიური კონსულტაცია						5/125		32	93
SSpsiqoashl 712	არ გააჩნია	ფსიქოსოციალურ აშლილობათა პრევენცია						5/125		32	93
ზოგადი არჩევითი საგნები								6	6	6	
SSglobal 715	არ გააჩნია	გლობალიზაცია					6/150		6/150	32	118
SSkultsoc716	არ გააჩნია	კულტურის სოციოლოგია					6/150		6/150	32	118
SSrito701	არ გააჩნია	რიტორიკა და კამათის ხელოვნება					6/150		6/150	32	118
SSpolart216	არ გააჩნია	პოლიტიკა და ხელოვნება					6/150		6/150	32	118
SSforumt115	არ გააჩნია	პრობლემების გადაწყვეტა: ფორუმ- თეატრი					6/150		6/150	32	118
SSpol307	SSsoc007	სოციალური პოლიტიკა					6/150			32	118
SSkomrekl718	არ გააჩნია	სტრატეგიული კომუნიკაცია და სარეკლამო ტექნოლოგია						6/150		32	118
Ssadamupl018	SSsam009	ადამიანის უფლებები თეორიასა და პრაქტიკაში						6/150		32	118
SSqegema717	არ გააჩნია	ქალაქგეგმარების სოციალური ასპექტი						6/150		32	118
SSpolmit 714	არ გააჩნია	პოლიტიკა და მითოლოგია						6/150		32	118
SSaciv704	არ გააჩნია	ადმოსავლური ცივილიზაციების ისტორია						6/150		32	118
SSgend601	არ გააჩნია	გენდერის სოციოლოგია						6/150		32	118
სემესტრში:			29	32	33	34	32	32	32	18	
წელიწადში:			61	67	67	67	64	64	50		

სწავლის შედეგების რუკა 3

რუკაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო საგნებთან მიმართებით. პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი იერარქია: I (Introduction), რაც გულისხმობს შედეგზე გასვლას გაცნობით დონეზე, D (Development) - შედეგზე გასვლას გაღრმავების დონეზე და M (Mastering) - შედეგზე გასვლას განმტკიცების დონეზე.

ცხრილში მოცემულია აგრეთვე პროცენტული მაჩვენებლები (ნიშნულები) ცალკეული კურსებისათვის პროგრამის გამოცდილების შესაბამისად.

საგნის კოდი	საგანი / მოდული	სამიზნე ნიშნულები სტუდენტები	შედეგი 1 სოციალურ მეცნიერებათა ფართო	შედეგი 2 ზოგადი	შედეგი 3 პრაქტიკა	შედეგი 4 კვლევა	შედეგი 5 ტრანსსფერი	შედეგი 6 ლიბერალულები
პროგრამის სავალდებულო საგნები								
Ssindiv016	ინდივიდი და საზოგადოება მსოფლიო ლიტერატურაში	85%	I	I			I	I
SSistsazmec017	ისტორია როგორც საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერება	85%	I	I			I	I
SSakw001	აკადემიური წერა	85%		I	I	I	I	I
SSkal002	პრეკალკულუსი	65%		I	I		I	
SSkompun 014	კომპიუტერული უნარები	85%		I	I		I	
SSshsocm113	შესავალი სოციალურ მეცნიერებებში	75%	I	I			I	I
SSgeog108	შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში	85%	I	I			I	
SSsamok109	სამოქალაქო განათლება	85%		I	I		I	I
SSlogkr015	ლოგიკური უნარ-ჩვევები	75%			I		I	I
SSpre 011	კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარები	75%			I		I	I
SSlogkr015	საზოგადოების აზროვნების ფილოსოფიური საფუძვლები	80%	I	D			D	D
SSfsik005	ფსიქოლოგიის საფუძვლები	85%	D	D			D	D
SSsoc007	შესავალი სოციოლოგიაში	75%	I	I			I	I
SS tvkvlev114	თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	85%	I		I	I	I	I
SSeko008	შესავალი ეკონომიკაში	70%	I					I

SSsam009	სამართლის საფუძვლები	65%	I					D
SSpol 010	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში	75%	I					D
SSshps708	შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში	85%	D					D
SSrkvst117	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში	80%	I		D	D	I	I
SSantrop116	ანთროპოლოგიის შესავალი	75%	D		I	I	I	D
SSmedz418	მედია და ძალაუფლება	85%	D	D				D
SSkulturt 711	კულტურათაშორისი ურთიერთობები	85%	D	D				D
SSmgs618	მიგრაცია და გლობალური საზოგადოება	75%	D					D
SStantend019	თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში	75%	M	M	M	M	M	M
SSkvlsocm020	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გაძლიერებული კურსი	75%	M		M	M	M	M
SSdproeq 801	დასკვნითი სასწავლო პროექტი	90%	M	M	M	M	M	M
ინგლისური ენის კომპონენტი								
SSeng100 SSeng101 SSeng102	ინგლისური ენა 1 ან, ინგლისური ენა 2 ან, ინგლისური ენა 3	85%			D	D		D
SSeng101 SSeng102 SSeng115	ინგლისური ენა 2 ან, ინგლისური ენა 3 ან, ინგლისური ენა 4	85%			D	D		D
SSeng102 SSeng115 SSeng116	ინგლისური ენა 3 ან, ინგლისური ენა 4 ან, ინგლისური ენა 5	85%			M	M		M

საგნის კოდი	საგანი / მოდული	სამიზნე ნიშნულები სტუდენტები	შედეგი 1 მყარი ცოდნა	შედეგი 2 პრაქტიკა	შედეგი 3 კვლევა	შედეგი 4 ანალიზი	შედეგი 5 ტრანსფერი	შედეგი 6 ეთიკა
საჯარო მმართველობის მაინორის ძირითადი საგნები								
SSmmp232	საჯარო მმართველობის პრინციპები და საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა	75%	I	I		I	D	
SSprofet228	ადმინისტრაციული და სამოხელეო სამართალი	75%	D	D		D	D	M
SSmeng203	მენეჯმენტის საფუძვლები	75%	I	I		D	D	D
SSlidet211	ლიდერობა და ეთიკა საჯარო სექტორში	80%	D	D		D	M	M
SSsajekbiuj229	საჯარო სექტორის ეკონომიკა და ბიუჯეტირება	85%	D	D		D	D	
SSprm201	პროექტის მართვა	80%	D			D	M	D
SSpolaninst 230	საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები	75%	M	M	D	M	D	
SSshmmar217	შედარებითი საჯარო მმართველობა	75%	M		D	M		D
SShr214	ადამიანური რესურსების მართვა	85%	D	D			M	D

საგნის კოდი	საგანი / მოდული	სამიზნე ნიშნულები სტუდენტები	შედეგი 1 მყარი ცოდნა	შედეგი 2 პრაქტიკა	შედეგი 3 კვლევა	შედეგი 4 ანალიზი	შედეგი 5 ტრანსფერი	შედეგი 6 ეთიკა
საერთაშორისო ურთიერთობების მაინორის ძირითადი საგნები								
SSfmsp316	მსოფლიო პოლიტიკა	85%	I	I	D	I	D	D
SSsakgeo 307	საქართველოს სამეზობლოს გეოპოლიტიკა	85%	I	D		D	D	

SSshpol311	შესავალი შედარებით პოლიტიკაში	75%	D	I	D	D	D	D
SSsut320	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში	85%	M		D	D	D	
SSseup319	ევროკავშირის პოლიტიკა	75%	M	D		D	D	
SSsam314	შესავალი საერთაშორისო სამართალში	85%	I			D	D	M
SSerus311	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა	85%	D	D	D	M	M	
SSusp303	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	85%	M	D		D		
SSsorg 317	საერთაშორისო ორგანიზაციები	75%	D			D	D	

საგნის კოდი	საგანი / მოდული	სამიზნე ნიშნულები სტუდენტები	შედეგი 1 მყარი ცოდნა	შედეგი 2 პრაქტიკა	შედეგი 3 კვლევა	შედეგი 4 ანალიზი	შედეგი 5 ტრანსფერი	შედეგი 6 ეთიკა
ფსიქოლოგიის მაინორის ძირითადი საგნები								
SScogp603	კოგნიტური ფსიქოლოგია	70%	I	I	I	D	D	D
SSrmpsy509	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1	85%	I	D	D	D	D	D
SSsocpsy510	სოციალური ფსიქოლოგია 1	85%	D	D	M	D	D	
SSganc608	განწყობის ფსიქოლოგია (დ. უზნაძის განწყობის თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიის კონტექსტში)	80%	D	D		D	M	
SSrmpsy510	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2	85%	D	D	M	M	M	M

SSsocpsy511	სოციალური ფსიქოლოგია 2	85%	D	M	M	M	M	
SSjups526	დევიაციური და იურიდიული ფსიქოლოგია	75%	D	D		D	M	M
SSpsdg 619	ფსიქოდიანოსტიკა	85%	D	D		M	M	M
SSpolps527	პოლიტიკური ფსიქოლოგია	75%	D	D		M	M	M

პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები:

დასკვნითი სასწავლო პროექტი რელევანტურია პროგრამის ექვსივე შედეგისთვის და მის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს, რამდენად მიაღწია სტუდენტმა კონკრეტულ შედეგს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მითითებულია, რა დონეზე გადის ნაშრომი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და როგორია მისი წილი მთლიანი შედეგის მიღწევაში. რაც შეეხება სწავლის შედეგების ზოგად სამიზნე ნიშნულებს, ისინი ასე გამოიყურება: ქულების სამიზნე ნიშნული - 71% , ხოლო სტუდენტების -70%. რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამის მოლოდინით, სტუდენტების 70%-მა დასკვნით სასწავლო პროექტში მინიმუმ 71 ქულა უნდა აიღოს, ცხრილში აღნიშნული დადებითი შეფასებით. დასაშვები გადახრა თითოეულ სამიზნე ნიშნულთან მიმართებით წარმოადგენს 10%-ს.

საგანი/ მოდული	შედეგი 1 სოცმც ფართო	ნიშნული	შედეგი 2 ზოგადი	ნიშნული	შედეგი 3 პრაქტიკა	ნიშნული	შედეგი 4 კვლევა/	ნიშნული	შედეგი 5 ტრანსფერი	ნიშნული	შედეგი 6 ეთიკა	ნიშნული
დასკვნითი სასწავლო პროექტი	M	20%	M	10%	M	20%	M	20%	M	20%	M	10%

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	მანანა გაბაშვილი			
თანამდებობა	სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე, პროფესორი			
სამუშაო ადგილი	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+995 599 908 767	ელ-ფოსტა:	m.gabashvili@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	<p>დაცული დისერტაცია: Семантическая структура слова и проблема смысловой связанности текста [Текст] : Автореф. дис. на соиск. учен. степ. канд. филол. наук : (10.02.04). - Москва : [б. и.], 1979</p> <p>სამეცნიერო კვლევის სფეროები: სოციალური მეცნიერებები, ფსიქოტრავმატოლოგია, კონფლიქტოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, ნეიროფსიქოლოგია.</p>			

<p>პუბლიკაციები</p>	<p>2021 - რედაქტორი, „მედეგობა COVID-19-ის ეპიდემიის დროს: მედეგობის, დისტრესისა და შფოთვის აღქმული მიზეზები, გამოვლენილი სიმპტომების შემსუბუქება დევნილ და ადგილობრივ ქალებში“. GIZ-ის დაფინანსებული კვლევა. ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ბეჭდვაში)</p> <p>2020 - რედაქტორი, „მედეგობა კოვიდ-19-ის პერიოდში: ფსიქოლოგიური გავლენა იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ქალებზე“. GIZ-ის დაფინანსებული კვლევა. ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი</p> <p>2020 - თანარედაქტორი, “From Migration and Integration Challenges to Good Practices: Practitioners’ Perspectives”. SIESTA Group.</p> <p>2019 - თანაავტორი, „აფაზიოლოგიის განვითარების ტენდენციები“. მოხსენების აბსტრაქტი. საერთაშორიო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“, აწსუ, 1-2 ნოემბერი (მარიამ ბაქრაძესთან ერთად)</p> <p>2019 ავტორი, “ბავშვის მეტყველება: რომან იაკობსონის ლინგვისტური და ნათელა იმედაძის ფსიქოლინგვისტური პარალელები”, კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი</p> <p>2019 - თანაავტორი, “გრამატიზაციის თავისებურებების საკითხისათვის ქართველენოვან ბავშვებში” (მოხსენება), ფსიქოლოგიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, თსუ, თბილისი, 2019, 12 აპრილი (ნათელა იმედაძესა და ნინო გელდიამეილთან ერთად)</p> <p>2018 - - თანაავტორი, Legal Culture, Forms of Adaptation and Personality Types, 8th Eurasian Multidisciplinary Forum, EMF 2018, Proceedings, 6-7 September, Tbilisi, Georgia, p.8-15, (ვახტანგ ნადარეიშვილთან ერთად)</p> <p>2017 - თანაავტორი, Types of Social Control: Psychosocial Aspects, (აბსტრაქტი), 7th Eurasian Multidisciplinary Forum, EMF 2017, -7 October, 2017, Tbilisi, Georgia (ვახტანგ ნადარეიშვილთან ერთად)</p> <p>2015 – თანაავტორი, Toward a Psychological Theory of Body Language, European Scientific Journal December 2015 /SPECIAL/ edition Vol.2 ISSN: 857 – 7881 - ISSN 1857- 7431 (რამაზ საყვარელიძესთან ერთად)</p>
----------------------------	---

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

#	ლექტორი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1	ზაალ აბაშიძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> ისტორია როგორც საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერება
2	თემურ კობახიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ინდივიდი და საზოგადოება მსოფლიო ლიტერატურაში დასავლური ცივილიზაციების ისტორია
3	სალომე დუმბაძე	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> აკადემიური წერა
4	მიხეილ ნიკოლეიშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> პრეკალკულუსი
5	ივანე ცერცვაძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> კომპიუტერული უნარები ბიჰევიორისტული ეკონომიკა
6	ნათია ჭიღვარია	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> ინგლისური ენა I, II, III
7	ჯეფრი მორსკი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ინგლისური ენა III, IV, V
8	გიორგი მარგველაშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი სოციალურ მეცნიერებებში
9	ლევან ასათიანი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში
10	გიორგი ხომერიკი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში
11	თინათინ ნორაკიძე	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> სამოქალაქო განათლება
12	მაია ჭიაურელი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ლოგიკური უნარ-ჩვევები
13	თამთა ცინცაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარები
14	ქეთევან მუხიგული	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> საზოგადოების აზროვნების ფილოსოფიური საფუძვლები
15	მარიამ ალანია	ასისტენტ პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> ფსიქოლოგიის საფუძვლები
16	ანა დიაკონიძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> შესავალი სოციოლოგიაში სოციალური პოლიტიკა
17	მარიამ სეხნიაშვილი	ასისტენტ-პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები

18	რატი შუბლაძე	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> • რადენობრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში • სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გაძლიერებული კურსი
19	ლევან ბერძენიშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • რიტორიკა და კამათის ხელოვნება
20	თინათინ ხომერიკი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ანთროპოლოგიის შესავალი
21	ნინო გედევანიშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკა და ხელოვნება
22	მარინა კვიციანიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემების გადაწყვეტა: ფორუმ-თეატრი
23	რომან ხარბედა	ასოციერბული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ეკონომიკაში • მაკროეკონომიკა
24	გიორგი კობერიძე	ასისტენტ-პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში • პოლიტიკური იდეოლოგიები
25	თინათინ ჩხეიძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში • სოციალური ფსიქოლოგია 1 • სოციალური ფსიქოლოგია 2 • ორგანიზაციული ქცევა
26	ზვიად ქორიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • მედია და ძალაუფლება
27	ნინო ტაბეშაძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • კულტურათაშორისი ურთიერთობები • გლობალიზაცია
28	თეონა მატარაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • მიგრაცია და გლობალური საზოგადოება • სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გაძლიერებული კურსი
29	მანანა გაბაშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში
30	დავით ზურაბიშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკა და მითოლოგია
31	ნინო ჩარეკიშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და მმართველობის ისტორია • აღმოსავლური ცივილიზაციების ისტორია
32	თედო სანიკიძე	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> • საჯარო მმართველობის პრინციპები და საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა
33	ნოდარ ხერხეულიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • საჯარო მმართველობის პრინციპები და საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა • ლიდერობა და ეთიკა საჯარო სექტორში
34	ნინო ცუხიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • სამართლის საფუძვლები • ადმინისტრაციული და სამოხელეო სამართალი • შედარებითი საჯარო მმართველობა
35	თინათინ კახიანი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • მენეჯმენტის საფუძვლები • პროექტის მართვა
36	თამარ კობერიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • არასამთავრობო ორგანიზაციების მენეჯმენტი და სამოქალაქო მონაწილეობა
37	ალექსანდრე სვანიშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • საჯარო მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა

38	თამარ ჩარკვიანი	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • კულტურის სოციოლოგია
39	ნათია კუტივაძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • საჯარო სექტორის ეკონომიკა და ბიუჯეტირება • მიკროეკონომიკა
40	ნატო ბაჩიაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ორგანიზაციები
41	მიხეილ დარჩიაშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა
42	თენგიზ ფხალაძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს საგარეო პოლიტიკა
43	ირინა ჭელიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიული კომუნიკაცია და სარეკლამო ტექნოლოგია
44	კონსტანტინე ერისთავი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანის უფლებები თეორიასა და პრაქტიკაში
45	ზურაბ ბაქრაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ქალაქგეგმარების სოციალური ასპექტი
46	მერაბ კაკულია	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები 1 • საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები 2
47	ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები
48	თამარ ტურაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსების მართვა • მართვის ფსიქოლოგია
49	ნოშრევან ლომთათიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო განვითარება
50	თეონა მაჭარაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ფონდების მოძიება და ფინანსების მართვა
51	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო პოლიტიკა • შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში
52	ზურაბ აგლაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს სამეზობლოს გეოპოლიტიკა • შესავალი კონფლიქტოლოგიაში • ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა
53	ზვიად ბარქაია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი შედარებით პოლიტიკაში • პოლიტიკის ანალიზი
54	გაიოზ ჯაფარიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა
55	ეკატერინე ჭავჭავანიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ევროკავშირის პოლიტიკა
56	ნიკოლოზ მელქაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • შესავალი საერთაშორისო სამართალში
57	რამაზ საყვარელიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკური ფსიქოლოგია
58	ნოდარ ხარშილაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა
59	ვახტანგ ნადარეიშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • კოგნიტური ფსიქოლოგია • განწყობის ფსიქოლოგია (დ. უზნაძის განწყობის თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიის კონტექსტში) • დევიაციური და იურიდიული ფსიქოლოგია

60	ნაზი ფარსადანიშვილი	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> • კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1 • კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2
61	ირაკლი იმედაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ფსიქოლოგიის ისტორია • ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები
62	თეიმურაზ ბჟალავა	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • პიროვნების ფსიქოლოგია 1 • პიროვნების ფსიქოლოგია 2 • ფსიქოსოციალურ აშლილობათა პრევენცია
63	ანა ჩუთლაშვილი	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> • ფსიქოსოციალურ აშლილობათა პრევენცია
64	ნარგიზა არჯევანიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • გენდერის სოციოლოგია
65	რუსუდან მხეიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ფსიქოდიაგნოსტიკა
66	თინათინ ფანცულაია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ფსიქოლოგიური კონსულტაცია